ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი # 9

ქ. ონი 14. 09. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გობეჯიშვილი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 10 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი, როსტომ ლობჯანიძე, ნონა მაისურაძე, გელა მეტრეველი, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდა: ზურაბ ბენდიანიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო სისტემის ქსელის მდგომარეობის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო სისტემის ქსელის მდგომარეობის შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს ერთი ინტერნეტის მომწოდებელი კომპანია ,,სკაიტელი“. აღნიშნული კომპანიის მომსახურება დღეის მდგომარეობით ფარავს ქ. ონს და მის მიმდებარე სოფლებს. ამ მომსახურებით სარგებლობს 640 აბონენტი.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის მშენებლობა ჩვენს რეგიონში და ჩვენი მოსახლეობის 90%-ს შესაძლებლობა ექნება დაუკავშირდეს მსოფლიო ინტერნეტის ქსელს. აღნიშნული პროექტი კერძო სატელეკომუნიკაციო კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გააფართოვონ საკუთარი ქსელი, გააუმჯობესონ მომსახურება და მომხმარებელს მიაწოდონ მაღალი ხარისხის სატელეკომუნიკაციო სერვისები,

როგორიცაა სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტი, თანამედროვე ტელევიზია და სხვა ყველა ელექტრონული სერვისი.

აზრი გამოთქვეს: ე. მაისურაძემ და აღნიშნა, რომ მისასალმებელია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მიიღებს მაღალი ხარისხის ინტერნეტმომსახურებას. სასურველია, ახლო მომავალში იმ სოფლების ინტერნეტიზაციაც მოხდეს, რომლის დაფარვაც ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 10 აგვისტოს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ინფორმაცია მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ნუმერაციის განახლების შესახებ.

მომხს. ნინო გობეჯიშვილი-კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მიმდინარე წელს, იუსტიცის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს დაგეგმილი აქვს საქართველოს მასშტაბით დასახლებულ პუნქტებში გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაცია, მათ შორის, ონის მუნიციპალიტეტში.

ონის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში როგორც სოფლად, ისე ქალაქში 7000-მდე დასანომრი ობიექტია. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროექტის პარალელურად, საკრებულომ უნდა დაიწყოს მუშაობა თითოეული გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების თაობაზე. სასურველია, სოფლებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისას, მოსახლეობას შევთავაზოთ ამა თუ იმ კონკრეტული სოფლის იმ წარმომადგენელთა სია, რომელიც აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

ქალაქ ონში სახელდებასა და ნუმერაციას დაქვემდებარებული 2000 ობიექტია, რომელთა უმრავლესობას არ აქვს მისამართის სახელდებისა და ნომრის მაჩვენებელი ნიშანი, რაც დიდ დისკომფორტს უქმნის როგორც მოსახლეობას, ისე სახელმწიფო დაწესებულებას, იურიდიულ პირებს და ნებისმიერი სახის სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებს. შესაბამისად, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, შესაძლებლობის ფარგლებში ეტაპობრივად მოხდეს სახელდებისა და ნუმერაციის მაჩვენებელი საინფორმაციო დაფების განახლება.

ეთხოვოს მერიას, მოამზადოს სრული საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მუნიციპალიტეტში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისათვის საინფორმაციო დაფების მოსამზადებლად.

ნინო გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი